№ 128 | 1877—1894 | № 128

შაბათი, 18 ივნისი 1894

# ივერია

შაბათი, 18 ივნისი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10— | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კოპეიკი.

დამზღვევი საზოგადოება
**„იაკორი"**
(დუზა)
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

**დაზღვევა სიცოცხლისა.**
ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

**დაზღვევა ცეცხლისაგან.**
მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომლიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2. (50—1234—16)

## ტფილისი, 18 ივნისს

—

პირველ მაისიდგან, გაუქმდა ძველის სახის ქაღალდის ფული რომელიც მოჭრილი იყო 1886 წელს, 13 თებერვალს—ხუთ-თუმნიანი, ოც-და-ხუთიანი, თუმნიანი, ხუთ-მანეთიანი, სამიანი და მანეთიანი და 1886 წლის 17 თებრვალს მოჭრილი ოც-და-ხუთიანი. ფინანსთა მინისტრის ბრძანებაში იყო ნათქვამი, რომ პირველ აისიდგან ეს ფული ქაღალდისა გაბათილებულიაო. ეხლა ამ საგნის შესახებ გაზ. „Русск. Жизнь"-ში საყურადღებო წერილია დაბეჭდილი რომელიც მოგვყავს.

„განა შეიძლება გაბათილებულად იქმნას გამოცხადებული ის კრედიტის სავალდებულო ქაღალდი, რომელიც სახელმწიფოს უფლებით და კანონიერ საფუძველით არის გამოცემული და კანონიერ პატრონთა ხელში იმყოფებაო? კითხულობს გაზეთი.

ვგონებთ ისე უნდა იყოს, რომ ვიდრე ძველი ქაღალდის ფული კერძო კაცთა ხელშია, იგი უდავო ვალდებულება იყოს სახელმწიფოსი კერძო კაცთა წინაშე, ვალდებულება, რომელსაც თვით ფულის მსესხებელი ვერ გააუქმებს, თუ ოქროთი არ გადაიხადა ეს ვალი და ან იმავე ღირებულობის სხვა ქაღალდი არ მისცა სამაგიეროდ. ძველის სახის ყოველს ქაღალდის ფულზედ დაბეჭდილია გარკვევით და ნათლად შემდეგი სიტყვები, ამოღებული უმაღლესის მანიფესტიდგან: „სახელმწიფო ქაღალდის ფული უზრუნველ ყოფილია სახელმწიფოს მთელის ქონებით და ყოველთვის დაუყოვნებლად შეიძლება დახურდავდეს იგი ოქროსა და ვერცხლზედ ამისათვის დანიშნულ ფონდიდგან". შემდეგ „ქაღალდის ფულს შეუძლიან მთელს იმპერიაში ისევე იქმნას მოხმარებული, როგორც ვერცხლის ფული". აქ არავითარი პირობანი და ვადა არ არის აღნიშნული. განა შესაძლებელია ამას შემდეგ, რომ გამოაცხადოთ, მაგ ქაღალდის ფულს არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო მხოლოდ იმის გამო, რომ იმათ პატრონებამდე არ მიუღწევია შემდეგში გამოცემულს განცხადებას, რომელიც სრულიად არ ეთანხმება და ეწინააღმდეგება „უმაღლესის მანიფესტიდგან ამოღებულს" სიტყვების აზრს, თვით ქაღალდის ფულზედ აღნიშნულს?..

შემდეგ გაზეთი სწერს, რომ ჩვენს თვალთა წინაშე საგუბერნიო ქალაქ იაროსლავლში ერთხელ ქაღალდის ფულის ასე შეცვლისა გამო სრულიად გაღარიბდა და გაღატაკდა ერთი ოჯახი, რომელსაც საკმაო შეძლება ჰქონდა შეგროვებული ქაღალდის ფულით და ძველებურის წესით სკივრში ინახავდა ხელ-უხლებლადაო.

„და საქმის გაუზვიადებლადაც ითქმის, რომ სოფლისა და ქალაქის მკვიდრის დიდძალი ნაწილი ეხლაც მოაკლდება თავის ოფლით მონაგარს და შავის დღისათვის გადადებულს შეძლებას, ქაღალდის ფულად დაცულს, იმ ქაღალდის ფულად, რომლის ნდობასაც ყველა მკვიდრნი ჩვეულ არიან და რომელსაც ისევე აფასებენ, როგორც ვერცხლისა და ოქროს ფულს...

ვსთხოვთ განიხილონ ეს პრაქტიკული საგანი მცოდნეებმა—იურისტებმა და ფინანსისტებმა, რადგან სრული იმედი გვაქვს, რომ თუ იმათ ამ დიდის ხნის წესად დადგენილ ფულების ცვლის ჩვეულებაში რაიმე ეჭვი შეიტანეს და უკანონოდ ჩასთვალეს, იმათს აზრს ფინანსთა უწყება მხედველობაში მიიღებს".

თუ იაროსლავლში არიან ისეთნი, რომელთა ყურამდეც ვერ მიაღწევს ხოლმე განკარგულება ფინანსთა სამინისტროსი, და ამის გამო ფული ეკარგებათ, რაღა უნდა იყოს, მაგალითებრ, კავკასიის განაპირა ადგილებში, სადაც ოსები, მთიულები და სხვა უვიცი ხალხი სცხოვრობს და სადაც ქაღალდის ფულს თითქმის ათის წლობით კოჭებით ინახავენ მიწაში ჩამარხულს?

Z.

## დეპეშა

16 ივნისი

**პეტერბურგი.** 16 ივნისს დილით მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი დიდის მთავრინა ქსენია ალექსანდრეს ასულითურთ, დიდი მთავრები მიხეილ ალექსანდრეს ძე და ალექსანდრე მიხეილის ძენი დაბრუნდნენ პეტერგოფს.

**კონსტანტინეპოლი** სერბიის მეფე დღეს მოვიდა აქ შუადღისას. მეფეს მიევება დიდი ვეზირი და რამდენიმე გენერალი.

**პარიზი.** კონგრესზედ დაესწრნენ 851; კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღეს 845; პერიეს ამოუვიდა 451 თეთრი (ხანგრძლივი ტაშის კვრა); ბრისსონს ამოუვიდა 195, დიუპუის —97, ფევრიეს—53, არაგოს—27. როცა კონგრესის პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ პერიეა ამორჩეულიო, გაისმა გრიალი ტაშის-ცემისა. სოციალისტები ძალიან წინააღმდეგობენ; ზოგიერთნი მათ შორის მუშტს უღერებენ და ისე ემუქრებიან თავიანთ ამხანაგებს; როცა შალმელმა შეატყობინა დამსწრეთ, ვინ რამდენი თეთრი და შავი კენჭი მიიღო დანარჩენებშიო, მაშინ დიდი ხმაურობა და ყვირილი შეიქნა; ჰყვიროდნენ: „გაუმარჯოს სოციალურს რევოლიუციას, ძირს რეაქციაო"! პრეზიდენტი კონგრესისა შალმელ ლაკური აცხადებს: „პერიეს მეტი ხმა მოუვიდა, გამომიცხადებია, რომ ის არის არჩეული რესპუბლიკის პრეზიდენტად". მემარცხენენი და შუა-გულისანი გაშმაგებით უკრავენ ტაშს; სოციალისტები კიდევ ჰყვირიან, მაგრამ მათს ყვირილს ტაშის კვრა ჰთრგუნავს. მდივანი კითხულობს კრების ოქმს; კრება იშლება და ისმის ასეთი ძახილი: „გაუმარჯოს რესპუბლიკას"! რესპუბლიკის პრეზიდენტი ეტლით წამოვიდა ვერსალიდამ სევრის გზითა, გამოიარა ბულონის ტყე, სადღესასწაულო კამარა-შეკრული კარი და ელისეს მინდვრები. კონგრესის გათავების შემდეგ დიუპუი მინისტრთა კრებულით შევიდა პრეზიდენტის კაბინეტში კრების ოქმის წასაკითხად. პერიეს ცრემლები მოერია და პასუხადა სთქვა: „ღრმად მიღელავს გული იმ პატივისცემისათვის, რომელიც ვალადა მდებს ყოვლად საძძიმო ზნეობრივს პასუხის გებას. მთლად ჩემს მამულიშვილობას, ჩემს მხნეობასა და ჩემს ცეცხლებრ მგზნებარე რწმენათა შევსწირავ რესპუბლიკასა და დემოკრატიასა მსგავსად იმისა, ვისაც ყველანი ვგლოვობთ ამ ჟამად". ამის შემდეგ შესრულებულ იქმნა ცერემონია იმისი, რომ გარდაეცა და ჩაჰბარდა უფლებანი პრეზიდენტისა და მერე დაუწყეს მილოცვა.

ზომიერ რესპუბლიკელთა და კონსერვატორთა გაზეთები კმაყოფილებით ეგებებიან პერიეს არჩევანს. ჰგონებენ, რომ პერიეს არჩევანი ბრძოლაში გამოწვევაა ანარხისტებისაო. სოციალისტების ჯგუფმა პალატისამ შეადგინა მანიფესტი, რომელშიაც ამბობს, რომ ჩვენ წინააღმდეგნი ვართ პერიეს არჩევანისა; ეგ არჩევანი ნიშანია იმისი, რომ შეერთდნენ ერთად კლერიკალები, მონარქიელები, რომელნიც შეურიგდნენ რესპუბლიკას, და კაპიტალისტები; ამ კოალიციას აზრად აქვს დაჰღუპოს რესპუბლიკაო.

პერიე გარეშე საქმე სამინისტროში მივიდა დიუპუისთან ერთად. თან ახლდა საპატიო ამალა. როცა ეტლი მიუახლოვდა უმთავრესს მისავალს, სამხედრო მემუსიკეთა ხორომ დაუკრა მარსელიეზი და სასახლის თავზედაც საეროვნო ბაირაღი აფრიალდა. მისავალ კარებთან პრეზიდენტს მიეგებნენ აფიცერნი გან-

## ფელეტონი

—

### ლუკმა-პურისათვის

ამბავი

მორის მონტეგიუსი

რამდენი დადის გზა-გზა, ქუჩა-ქუჩა, ვითომ არხეინად, თავისუფლად, დადის იქ, საცა იმისი ნებაა, იმისი ქეიფია, მაგრამ მაინც ყველა-კი ტყვეა, ყველას სული და გული დატყვევებულია, დაპატიმრებული; ყველა ძალიან დაჰშორებია თავის იდეალს, თავის სასურველს საგანს. ეს-კია მაინც რომ ყოველივე ხიმერა და ზმანება სასიამოვნოა, ტკბილია, თორემ რატომ ნამდვილად არ უნდა არსებობდეს ამ ქვეყნად?!.

ჟოზეფ ლეკლერი ოც-და-ხუთის წლისა იყო, ცარიელ-ტარიელი, ერთი ეული კაცი. ზამთარ-ზაფხულ მშიერი იყო. ზამთარში შიმშილს სიცივეც ზედ ემატებოდა. მეტად ღარიბი და ღატაკი იყო. ბევრნი დაძრწიან ამისთანაები ქუჩა-ქუჩა. აცვიათ შავი სერთუკი და ჯიბეში უდევთ დიპლომი ბაკალავრისა; რაც შეუძლიანთ, ახლო ეკვრიან სახლების კედლებს და სწყევლიან ცივ წვიმას ცალკე და მზეს კიდევ ცალკე: ჩვენს ნაკლებულებას ცხადად რად აჩენსო.

ჟოზეფი ამპარტავანი კაცი იყო, როგორც ყველა ღარიბი, ვისაც-კი ცოდნა და შესმენა აქვს. ხშირად ამბობდა გულში, თავს მოვიკლავო; ის-კი არც ერთხელ ფიქრად არ მოსვლია, მიველაქუცები, მივეფერები ვისმე, ვითომ იმიტომ, რომ იქნება გამოვრჩე რასმეო.

გული დაიმშვიდეთ და არ გეგონოთ, რომ ჟოზეფი პოეტი იყო. თუ სწერდა, პროზასა სწერდა, კარგს პროზასა, მტკიცედ ნაჭედსა. იმისი ფიქრი და აზრი ცხადი და გარკვეული იყო; ამბობდა იმას, რის თქმაც უნდოდა და იმათი დარდი არა ჰქონდა, ვისაც საპეტრო ფრაზები უყვარს. ფრანგული ენა იმ სახითაც კარგია, რაც ეხლა სახე აქვსო. რესპუბლიკას ჰმომხრეობდა, იქნება იმიტომ, რომ ღარიბი იყო... ვამბობ იქნება-მეთქი, თორემ ბოლოს დაინახავთ, რომ ეს ასე არ იყო.

როცა ჟოზეფი ოც-და-ხუთის წლისა შესრულდა, მესამე რესპუბლიკა ძლივს სამი-ოთხის წლისა იყო. რესპუბლიკა მაშინ თავის პირველს სიტყვებსაც ძლივს ამბობდა ენა-მოჩლინქითა, ძლივს ადგამდა ფეხს, ისე უჭირდა სიარული. ჟოზეფ ლეკლერი ღვიძლი შვილი იყო თავის ქვეყნისა, სურვილი დიდი ჰქონდა საქმის კეთებისა და პირველად ისე ეგონა, რომ გზას ადვილად გავიკვლევო. მოჰყვა და დაიწყო წერა. თავისი ნაწერები უმწვერვალესის მმართულების რედაქციებში მიჰქონდა. ყველგან სიამოვნებით ეგებებოდნენ, იტოვებდნენ მის ნაწერებს და ჰბეჭდავდნენ კიდეც. ნაწერის დატოვება და დაბეჭდვა ერთი და იგივე არ არის. ჰბეჭდავდნენ, მაგრამ ფასსკი არას აძლევდნენ. რედაქტორებიც თავს იმითი მართლულობდნენ, რომ, რა ვქნათ, ჩვენც გაჭირვებაში ვართო.

ამ სახით, თუმცა ჟოზეფ ლეკლერს არც ნიჭი აკლდა, არც ნაკლებად ვრცელდებოდა მისი ნაწერები, მაინც რამდენისამე წლის განმავლობაში შიმშილით კუჭი ეწვოდა.

რაკი ძალიან ღარიბი იყო, საყვარელი ვერ გაიჩინა, ხასა ვერ დაისვა და კანონიერად დაიწერა ჯვარი ერთს ლამაზს გასათხოვარ ქალზედ. ყმაწვილი ქალი შესტრფოდა თავის ჟოზეფს, ენდობოდა სულითა დ გულით, ჰგრძნობდა გამბედაობას და ცხოვრება სრულიად არ აშინებდა მას შემდეგ, რაც მის გულში სიყვარულმა დაისადგურა. მშიერ-მწყურვალნი ცოლ-ქმარნი ერთმანეთის სიყვარულითა სტკბებოდნენ და ძღებოდნენ.

პროტექციის წყალობით ჟოზეფმა უშოვა თავის ცოლს ადგილი სტამბაში, საცა იბეჭდებოდა განცხადებანი. ასი და ათასი დედაკაცი ეძებდა იქ ადგილს, მაგრამ პირველივე ვაკანსია იმას ერგო და დღეში ორმოცსუს იღებდა მით, რომ ათასსა და ათი-ათასს აღრესს აწერდა ბანდეროლებსა; ჟოზეფი ამასაც ვერა შოულობდა.

ლეკლერი დაღონდა, გამწარდა, იმიტომ რომ ერთის მაგიერ ორისათვის სწუხდა და ჰნაღვლობდა. მისი გამწარება ცხადად დაეტყო მის ნაწერებსაც. სწორედ მოგახსენოთ, კარგი მწერალიც იყო უმწვერვალესს მწერალთა შორის. მაგრამ რესპუბლიკის მომხრე გაზეთებს ჯერ მაინც სუბსიდიები არ ეძლეოდათ; ხელისმომწერნი ცოტანი ჰყვანდათ; ცალკე ნომრობითაც წესიერად არ იყიდებოდა გაზეთები: დღეს რომ ბეყრი გაყიდულიყო, ხვალ შეიძლება ცოტაოდენი გასაღებულიყო.

ერთს მშვენიერს დღეს ერთმა კა-

სვენებულ პრეზიდენტის სამხედრო ამალისანი. დიუპუიმ მიართვა პრეზიდენტს ქაღალდი სამსახურიდამ დათხოვნისა. ხვალ „Journal Oficiel“-ში გამოცხადებული იქნება, რომ ეხლანდელს მინისტრებსვე მიენდო განაგონ საქმენი. საღამოზედ პერიე წავიდა ეტლით და კარნოს გვამსა სცა პატივი, იქიდამ მის ქვრივთან მივიდა სამძიმრის სათქმელად.

პერიემ ხელი მოაწერა ბრძანებას, რომ კარნო პანთეონში იქმნას დასაფლავებული. მთავრობა მოითხოვს 50,000 ფრანკის გადადებას დასაფლავების ხარჯად.

ახალის კაბინეტის შედგენა მიენდო ბურდოს. პერიემ გადასწყვიტა, არ შეასრულოს ის განაჩენი, რომლის ძალითაც რესპუბლიკის პრეზიდენტი უნდა პირადად დაესწროს თავის წინა-მოადგილის დასაფლავებას.

**ბერლინი.** გუშინ ათასს იტალიელზედ მეტი მოვიდა მეტცს საფრანგეთიდამ; სულ ყველას მიუტოვებია იქაურობა; ბევრს მათ შორის თავი დაუნებებიათ დიდისა და რთულის საქმეებისთვის; უმრავლესობას იტალიელებისა სავანე არსად არა აქვს.

# ახალი ამბავი

*** ამ მოკლე ხანში მოელიან ჩვენში შვედელს მეცნიერს და არქეოლოგს ბ-ნ მარტენს, რომელსაც უნდა ჩვენის ქვეყნის ისტორიული ნაშთები დაათვალიეროს.

ბ-ნი მარტენი აქედამ გაემგზავრება კასპიის იქითა მხარეს, იქედამ ბუხარაში, თურქესტანს, სამარყანდსა და შიდა აზიის სხვა-და-სხვა ადგილებში.-

*** 10 ივნისს გათავდა ეგზამენები ტფილისის წ. ნინოს საქალებო სასწავლებელში. მოწმობანი და საჩუქრები ქალებს დაურიგდათ მთავარმართებლის სასახლეში 5 საათზედ შუადღის შემდეგ. აქტზედ დასასწრებად მოწვეულნი იყვნენ: საქართველოს ექსარხოსი ვლადიმირი, მთავარმართებლის თანაშემწე გრაფი ი. დ. ტატიშჩევი მეუღლითურთ, კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი, მთავარმართებლის საგანგებო საქმეთა მოხელე ნ. ი. ნიკოლიჩი, ტფილისის ვიც-გუბერნატორი, თავმჯდომარე საცენზურო კომიტეტისა, ტფილისის პოლიცმეისტერი, ტფილისის კომენდანტი და სხვანი წარჩინებულნი.

როდესაც პარაკლისი გათავდა მოწაფენი აიაზმის წყლით ასხურეს და ე. ბ. შერემეტევისამ დაასაჩუქრა თითოეული მათგანი მშვენიერად შემკულის სახარებით და თითო სევადიანის ვერცხლის წმ. ნინოს ხატით.

ამის შემდეგ დაურიგეს საჩუქრები და მოწმობანი. ამ სწავლა-დამთავრებულ მოსწავლე-ქალთა შორის ქართველნი არიან: ოქროს ჯვრით დაჯილდოებულნი: კნ. თარხან-მოურავის ასული ელისაბედი, ვერცხლის ჯვარითა და მოწმობით—კნ. ბაგრატიონ-მუხრანბატონის ასული სოფიო, მოწმობით: კნ. ვახვახიშვილის ასული ელენე, კნ. ვახვახიშვილის ასული მარიამი, ჯაიანის ასული ელისაბედი, კიკნაძის ასული ნატალია, კნ. მაღალაშვილის ასული სოფიო, მამაცაშვილის ასული სოფიო, მახვილაძის ასული ეკატერინე, მელიქიშვილის ასული ნატალია, სულხანიშვილის ასული ბარბარე, კნ. ციციშვილის ასული მარიამი, შიუკაშვილის ასული ნინო, ეგაძის ასული ლიუბოვი, კორინთლის ასული ალექსანდრა, მირზაშვილის ასული ნატალია, ხონაგაშვილის ასული ელისაბედი, ჭილაშვილის ასული ქსენია. ამათ შორის ჯაიანის ასული ელისაბედი და ეგაძის ასული ლიუბოვ იზდებოდნენ იმ ფულით, რომელიც ნაანდერძებია განსვენებულის უგანათლებულესის კნ. დ. კ. ვორონცოვის-მიერ და თითოეულმა მათგანმა მიიღო 200 მ. ღირებული ტანთსაცმელი თანხმად განსვენებულისავე ანდერძისა.

*** როგორც გვაცნობებენ, ამ საანგარიშო წელს „ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ ბათუმის სასწავლებელში ყოფილა სამოც-და-ოთხი მოსწავლე და, მათ შორის ოც-და-ოთხი მაჰმადის სარწმუნოების ქართველი.

*** ამ დღეებში ქალაქის გამგეობამ საცდელად დაახოცვინა დიდრონი და წვრილი საქონელი, რის შემდეგაც შესაძლოდ დაინახა 1 კ. დაეკლო გირვანქა ძროხის ხორცის ფასი, ხოლო ცხვრის ხორცის ნიხრი-კი ისევ იმ ფასად (8 კ.) დასტოვა.

*** გუშინ, პარასკევს, 17 ივნისს, ერთი უბედურობა მოხდა ბარონის ქუჩაზედ. თამამშოვის სახლის მესამე სართულიდგან მღებარი გადმოვარდა, თავით დაეცა ძირს ქვებზედ, და იმ წუთშივე სული განუტევა. მხატვარი რუსი იყო, თამამშოვის სახლის სახურავს ჰღებავდა, და როდესაც ნაპირზედ იდგა სამუშაოდ, ქარმა წამოუბერა და გადმოაგდო. გარდაცვალებულის გვამი მიხეილის საავადმყოფოში წაიღეს.

*** ნაშუადღევის 2 საათზედ ტფილისის რკინის გზის სადგურზედ ორთქლმავალს ქვეშ ჩავარდა არკადი რაგულინი, რომელიც საშინლად დაშავდა. რაგულინი ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში წაიყვანეს.

*** დიდი სეტყვა იყო ამ თვის 6 რიცხვსა სართი-ჭალის მხარეს, ტფილისის მაზრაში. დაისეტყვა ბაღები და ნათესები სოფლებისა: პატარძეულის, ბერიუბნისა, ნინოწმიდისა, საგარეჯოსი და გიორგი-წმიდისა.

*** ქუთაისი: 14 ივნისს გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულომ დაამტკიცა ხმოსანთა არჩევანები, რომელიც მოხდა 29 მაისს და 5 ივნისს. ამასთანავე ქალაქის მოურავს ნება დართეს, ახალი კრება დანიშნოს 3 ხმოსნის და 8 კანდიდატის ასარჩევად. ერთმა ახლად ამორჩეულ ხმოსანთაგანმა კაზაკოვმა, უარი განაცხადა ხმოსნობისა.

*** საჩხერე. წრეულს საჩხერის სომხებმა დამშეულ თავის თანამოძმეთ სომხეთში შემწეობა აღმოუჩინეს გაუგზავნეს ქუთაისში დეკანოზ ტერდავით იარალიანცს სომხეთში სიმშილისაგან დაზარალებულ სოფლელების გადასაცემად 47 მ. და 1 აბაზი.

*** თელავი. შაბათს, 11 ივნისს, თელავის სცენის მოყვარულთ ქ-ნმა ქ. კახიძისამ, ბ-ნმა აწყურელმა და გამყრელიძემ გამართეს წარმოდგენა. ამ წარმოდგენის გამო ერთი ამბავი მოხდა. რა საღამოსაც წარმოდგენა იყო, ზოგიერთი ვაჟბატონები, რომელთაც პირადი უსიამოვნება ჰქონიათ არტისტებთან, ერთ ქუჩაზედ დამდგარიყვნენ და ვისაც-კი თეატრისკენ მიმავალს ჰნახავდნენ ეუბნებოდნენ, წარმოდგენა გადაიდვა და ნულარ მიდიხართო. ისენიც-კი უკან დააბრუნეს, რომელთაც ბილეთები უკვე ნასყიდი ჰქონდათ. პოლიციელებიც-კი ასე მოატყუეს რის გამოც არც ერთი პოლიციელი არ დასწრებია წარმოდგენას.

*** ს. უკანამხარი (დუშეთის მაზრა): ამ დღეებში ამ სოფლის მცხოვრები მაღარაშვილი ისე გაანჩხლდა თავის ცოლზედ, რომ ეცა ხანჯლით და ოთხგან დასჭრა სასიკვდილოდ. უბედურმა მსხვერპლმა მხეცის ქმარისამ იქვე განუტევა სული. („Кав.“).

*** გაზ. „Тиф. Лист.“-ი გვაცნობებს, რომ მოვიდა თუ არა ტფილისში საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის სადი-კარნოს სიკვდილის ამბავი, ტფილისში მცხოვრებმა საფრანგეთის ქვეშევრდომებმა თავისის ელჩის ბ-ნ ბულიეშის პირით კარნოს ქვრივს ასეთი დეპეშა მისწერესო:

„ფრანგთა ახალ-შენი ტფილისისა, დიდად დამწუხრებული და შეშფოთებული თქვენდა მოვლენილ უბედურებისა გამო გამოსთქვამს რა გრძნობასა თავისის ღრმა პატივის ცემისას პრეზიდენტის კარნოს მიმართ, თავისს გლოვასაც შემოუერთებს თქვენსა და მთელის საფრანგეთის გლოვას“.

## ნაწყვეტები

მანებე, შუქურ-ვარსკვლავო,
მგ მუმუ-მკერდი ბროლისა,
თორემ დამადნო სურვილმა,
თავი აღარ მაქვს ბრძოლისა,
არც საქმის, არცა ძილისა,
არც დგომის, არცა წოლისა,
მაგიჟებს გრძნობა ძლიერი,
უსაზღრო ზღვათა სწორისა.

დ. მაჩხანელი

## კორესპონდენცია

**სოხუმი.** დღეს, 12 ივნისს, აქაურს ქალაქის ტაძარში გარდავიხადეთ საორმოცო პანაშვიდი ჩვენის ბელეტრისტის ეგნატე ინგოროყვას (ნინოშვილის) სულის მოსახსენებლად. საზოგადოება ბლომად დაესწრო. პანაშვიდი გარდახდილ იქმნა ქართულად დეკანოზ მაჭავარიანის მიერ და საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დარჩა, რომ ერთხელ მაინც გვეღირსა ქართულის გაგონება ქართველებს აქაურს ეკკლესიაშიო.

მადლობა ღმერთს, აქაურმა ქართველებმაც გამოიღვიძეს ცოტა. ეს პირველი მაგალითია, რომ ქართველ მოღვაწისათვის პანაშვიდი გარდაეხადოთ სუხუმში, თუმც არა ერთი და ორი ნიჭიერი მწერალი გარდაგვცვლია ქართველებს.

ამას გარდა, სუხუმის ქართველებს ჰსურთ ითხოვონ, სადაც ჯერ არს, რომ აქაურს ტაძარში ქართულად იქმნას წირვა-ლოცვა დრო გამოშვებით და თუ ამის ნება ვერ მიიღეს, მაშინ განზრახვა აქვთ ააგონ საკუთარი ეკკლესია, სადაც მხოლოდ ქართულად უნდა იქმნას წირვა-ლოცვა. ეს აუცილებლად საჭიროა, რადგან ორი მესამედი აქაურ მცხოვრებისა ქართველები არიან, რომლებსაც ასში ერთს არ გაეგება რუსული წირვა-ლოცვა და ქართულსაც მოკლებულნი არიან.

აგრეთვე აქაურს ახალგაზდობას განზრახვა აქვს დააარსონ საზოგადოების დახმარებით აქაურსავე სტამბასთან პატარა ქართული საზოგადო სამკითხველო, რომელიც, ეჭვი არ არის, დიდს სარგებლობას მოუტანს აქაურს ახალგაზდობას. მით უფრო, რომ ჩვენში წასაკითხად-კი არა, სასყიდლადაც ძნელია ქართულის წიგნის შოვნა.

ბახველი

## ლეიტენანტი სავენი

სარატოვში სცხოვრობს ახლაც 126 წლის კაცი, გვარად სავენი, რომელიც მოჰყოლია ნაპოლეონ I-ს დიდ არმიის 1812 წელს. სავენი ტყვედ ჩავარდნია პლატოვის ყაზახ-რუსებს და მას აქეთ ეს ფრანგი სცხოვრობს სარატოვში; 1880 წლამდე იგი ყმაწვილებს ასწავლიდა ფრანგულს ენას. ლეიტენანტი სავენი ერთის წლით უფროსია თვით ნაპოლეონზედ.

---

რგის მიმართულების გაზეთის რედაქტორმა, იმისთანა მიმართულებისამ, რომ თითქმის სისხლის ფერი დაჰკრავდა, შეიცოდა ჟოზეფი. გულწრფელი კაცი იყო და ალბად იფიქრა, ამდენსა ცდილობს, ასე მხნეობს ეს საცოდავი და უკიდურესის სიღარიბისათვის თავი-კი ვერ დაუღწევიაო. მოუწოდა ლეკლერს და უთხრა:

— ჩემო მეგობარო, თქვენ რომ წერილი მომიტანეთ, მშვენიერება რამ არის, სწორედ მშვენიერება რამ არის! ეგ წერილი ნამდვილი ცეცხლ-მფრქვეველი მჭევრ-მეტყველებაა... სიმდიდრეა ნამდვილი... გასამრჯელოს მიცემა რომ შეეძლოთ, სწორედ გამდიდრდებოდით... მაგრამ რას იზამთ, რესპუბლიკა ჯერ ჩჩვილი ყმაწვილია; ჯერ უნდა გაიზარდოს, ასაკში მოვიდეს, რომ მფარველნი იშოვოს. ძველ მეფეთა მომხრეებს-კი ზანდუკები სავსე აქვთ ოქროთი, როგორც ყველა ბებერს და მოხუცებულს დედაკაცს... ჩემო კარგო, ძალიან გაჭირებაში ხართ... მე რომ თქვენს ადგილზედ ვყოფილიყავ, იმ მოხუცსა და მდიდარ დედაკაცებს მივმართავდი... უპირველეს ყოვლისა ცხოვრება უნდა ადამიანსა!

— ღალატი!..

— ღალატი? რა ღალატი, ვისი ღალატი? ჩემო ახალგაზდა მეგობარო, კარგი გული გაქვს, მაგრამ შენს თავზედაც დაიხედე, მიიხედ-მოიხედე გარშემო და დაფიქრდი, გულის ხმა ჰყავ. მერწმუნე, დრო იქნება, რომ მლოცავდე ასეთის რჩევისა და დარიგებისათვის; მოხუცი კაცი ვარ, გამოცდილი და უსასყიდლოდ გირჩევ ამას შენ, ჯერ ისევ ყრმას, გამოუცდელსა მე, გამოცდილი და ბევრის ავისა და კარგის მნახველი. წაიღეთ თქვენი ხელ-ნაწერი; დიდის სიამოვნებით დავბეჭდავდი იმავე ფასად, როგორც სხვები დავბეჭდე, ესე იგი, მუქთად, ანუ თითქმის მუქთად; მაგრამ გონს მოდით. აბა დაფიქრდით და მიხვდებით, რომ რესპუბლიკა და როიალიზმი ორი ცარიელი, ლიტონი სიტყვაა, ორივე რაღაცი იწყება; ბევრ რამის შესწორება არ დაგჭირდებათ თქვენს წერილში იმისათვის, რომ შიმშილით სიკვდილის მაგიერ, ნეტარებაში ჩავარდეთ, გაჭირებულთა ბანაკიდამ ლხინში მყოფთა ბანაკში მოჰყვეთ... იფიქრეთ, აიღ-დაიღეთ ყოველივე ესე და... მშვიდობითაც იყავით!

—

ჟოზეფ ლეკლერი დაბრუნდა სახლში და თავისი ხელთ-ნაწერიც თან მოიტანა. მიიხედ-მოიხედა და დაინახა, რომ ბუხარში ცეცხლი არსად არის, ოთახი მოუწყობელია და უაvეჯო, ბუფეტის შკაფი გამოფხეკილია, სავსედ გახლავთ. დაინახა თავისი ლამაზი, მშვიდობიანი ცოლიცა. თუმცა ცოლს ძრიელ უყვარდა თავისი ქმარი, მაგრამ თავიც არ აუღია მაღლა ჟოზეფის შესვლაზედ. ხელში საქმე ეჭირა, საქმე მძიმე, ძნელი საკეთებელი და, დრო ტყუილად არ დავკარგოვო, მაღლა არ აიხედა. სამძიმო მუშაობით ქალს ფერი წასვლოდა, დაღლილიყო, ეშხიც-კი დაჰკარგოდა, თვალები დასწითლებოდა და ფეხ-მძიმობა ცხადად ეტყობოდა.

ჟოზეფი მიუჯდა იმავე სტოლს, რომელზედაც ქალი მუშაობდა, წავიდა ფიქრში და, პატარა ხანს უკან, ხმა-ამოუღებლივ ამოშალა თავის წერილში სიტყვა: რესპუბლიკა; ხოლო მის მაგიერ ჩასწერა სიტყვა: როიალიზმი.

მე და ჩემმა ღმერთმა, წერილი ისეთივე დარჩა, რაც იყო. რა წუნსაც რესპუბლიკას სდებდა, იგივე წუნი ჰქონდა როიალიზმსაც. წერილი ისევე კარგი იყო ახლაც, როგორც წინად, მხოლოდ აზრი გადატრიალდა, გადასხვაფერდა, სხვა არაფერი. დიდი ამბავი მომხდარა!

ჟოზეფმა ხანი აღარა დაახ-ნა-რა და დაუყოვნებლივ წაუღო თავისი წერილი, ათასგან ნასწორები და წაშლილ-წამოშლილებით აჭრელებული, ერთის შეძლებულის გაზეთის რედაქციას. დაუყოვნებლივ იმიტომ წაუღო, რომ ვაი თუ მერე სვინიდისმა მხილება დამიწყოს და წინ გადამეღობოსო. ჟოზეფმა იცოდა, რომ შეძლებულს გაზეთებს დიდს შემწეობას უწევდნენ და სამაგიეროდ ავალებდნენ, რომ დაეცვათ დაცარიელებული სამეფო ტახტი და გაუქმებული საკურთხეველი. იმ გაზეთს, საცა ჟოზეფმა წერილი წაიღო დასაბეჭდად, ბლომადა ჰყავნდა მკითხველები და დიდი შემოსავალიცა ჰქონდა.

გაზეთის დამაარსებელი და რედაქტორი, უმთავრესი მისი სული და გული იყო ვიანდასი, კაცი მახვილ-გონიერი და თან ურწმუნო, სკეპტიკი. ვიანდასმა სიამოვნებით მიიღო ჟოზეფი. როცა წერილი წაიკითხა, აღტაცებით უთხრა ჟოზეფს:

— აი სწორედ ის, რასაც ამდენს ხანს ამაოდ ვეძებდი! თქვენ ჩვენი ხართ ამას იქით, თქვენი წერილი ხვალის ნომერშივე დაიბეჭდება. გასამრჯელოდ სამას ფრანკს მოგართმევთ. აი ინებეთ. თუ გსურთ, კვირაში თითო წერილი დაგვიწერეთ. მე-კი მერჩივნა, რომ კვირაში ორი გეწერათ. გაბედვითა სწერეთ, დაურიდებლივ, სულ მაგარ-მაგარი, მწვავე, რომ ვისაც მოხვდეს, ზურგზედ ბოლი ასდიოდეთ, ცხრა-კეცი ტყავი

ლეონზედაც, რომელიც დაიბადა 1769 წ., ხოლო დღეს მშვიდობით მყოფი მხლებელი დიდის იმპერატორისა-კი დაბადებულა 1768 წელს.

## ბაღოსნობა გურია-სამეგრელოში

(აბრეშუმის ქიის მოვლა და პატრონობა)

გურია-სამეგრელოში დიდიხანია გავრცელებულია აბრეშუმის მოყვანა და მისი ხელობა. ეს ხელობა აქაურს გლეხს, თითქმის ყველას საზოგადო ჩვეულებად აქვთ გადაქცეული, მაგრამ ძლიერ მცირედის რაოდენობისა მოჰყავთ, თითო ოჯახში 1—5 გირვანქამდის. თუმც ძალიან ცდილობენ და უზომოდაც შრომობენ, მაგრამ მეტის მოყვანას ვეღარ ახერხებენ. ისეცა ჰგონიათ, რომ მეტის მოყვანა შეუძლებელიაო. რასაკვირველია, ეს გარემოება უცოდინარობისა და მოუწყობილობის ბრალია. ერთს ოჯახს თამამად შეუძლიან, არამც თუ 5—10 გირვანქის მოყვანა, არამედ ხუთი—ათი ფუთის მოყვანასაც მოახერხებს, ოღონ ოსტატობა-ცოდნა იყოს და მოწყობილობა ჰქონდეს შესაფერი. განჯის გუბერნიაში მაგალითად, სახელდობრ, არეშის მაზრაში იქაურს გლეხს მოჰყავს აბრეშუმი თითო ოჯახს წელიწადში სამიდგან დაწყებული ათ-თუთხმეტ ფუთამდის. აგრეთვე ერევნის გუბერნიის მაზრებში, სახელდობრ, ორდუბათისა, ნახჩევანისა და შარურისაში. ამ მაზრებში შედარებით უფრო მეტი მოჰყავთ აბრეშუმი. მა'მ რისგან არის ეს ასე? ცხადია ცოდნაა, ოსტატობაა დ მოწყობილობაა პირველი მიზეზი ამისა. გურია-სამეგრელოში აბრეშუმის ქიას ინახამენ თავიანთ სადგომ სახლში, სადაც ათასგვარ საჭმელ-სასმელისა და კომლის სუნი სდგას, რომელიც მეტის მეტად მავნებელია აბრეშუმის ქიისათვის, მეტადრე სუნი თევზეულობისა, რომელიც აქეთ მხარეს ძალიან უყვართ.

არის კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც აბრკოლებს აბრეშუმის ბლომად მოყვანის საქმეს გურია-სამეგრელოში. ეს ის მიზეზია, რომ ბჟოლის (თუთის) ხეები, რომელსაც აბრეშუმის ქიას აჭმევენ თითქმის სულ ტყეშია, საცა ათასგვარი სხვა-და-სხვა თვისების ხე-მცენარე ჰხარობს თუთასთან ერთად. რასაკვირველია ამნაირი ბჟოლის ფოთოლი სხვა გემოს ითვისებს და თვისის ბუნების თვისებას სრულიად ჰკარგავს. გარდა ამისა ზოგი-ერთ ბჟოლის ხეს ბუნებითვე უვარგისი თვისება აქვს, ისეთის ჯიშისაა, რომ ზოგი მათ შორის მწარეა, ზოგი მჟავეა და ზოგი-ერთი მთლად უგემური და უწვენო: ამისთანა ფოთოლი ქიისათვის, არამც თუ მარტო საწყენია, არამედ ადვილად უჩენს მავნებელს სენს. არც ის ბჟოლის ფოთოლია მარგებელი, რომელიც ძველის ძველია; ხშირად მოხდება ძველის ხის ფოთოლმა ქია ავად გაჰხადოს და თანაც მთლად გასწყვიტოს. ეს საყურადღებო გარემოება აქაურმა ხალხმა სრულებით არ იცის. ცხადია ამას შემდეგ, რომ აქაურს ქიას ძრიელ უჭირს საქმე; მისთვის არც მარგებელი საჭმელია სადმე და არც სადგომი და მაშ რა ღონე და ძალა ექნება პარკის გასაკეთებლად? ზოგი ერთი ქია ამ ცუდის მდგომარეობით თავის ძალასა და ღონეს ისე ჰკარგავს, რომ სრულებით აღარ შეუძლიან პარკის გაკეთება და ზოგი ერთი, თუმცა პარკს აკეთებს, ის პარკი ძალიან თხელია და სუსტი.! ქია რაც უფრო დიდი გაიზდება, იმდენად დიდს პარკსაც გააკეთებს და კარგის თვისების აბრეშუმიც გამოვა. ყველა ცხოველის და პირუტყვის კეთილდღეობა დამოკიდებულია მის საჭმელ-სასმელზედა და სადგომზედა. ხოლო თუ ეს უმთავრესი პირობა სიცოცხლისა აკლია, ვერც პირუტყვი და ვერც სხვა ცხოველი ხეირს ვერ გამოიჩენს, აბრეშუმის ქიის საქმეც ასევეა. ეს-კი არა აბრეშუმის ქიას უფრო მოვლა და ფარეზობა ეჭირვება, ამიტომ რომ ეს უფრო ჩჩვილი და აზიზი არსებაა და მცირეოდენი ნიარის შეშლა ასნეულებს და ჰღუპავს, ამიტომ, ვისაც ქიის გაჩენა უნდა და მოვლა, იმან კარგად უნდა იცოდეს მისი ხასიათი და ცხოვრება. აი იმისი ერთი მაგალითი თუ უცოდინრობით როგორ წახდება საქმე: რამდენისამე ხნის წინად სამეგრელოდგან გავგზავნე სიმინდი სათესლედ ჩემს სამშობლო ქვეყანაში, ერევნის გუბერნიაში, სადაც სიმინდის თესვა და მისი ხელი არ იციან, სიმინდი დასთესეს ისე, როგორც მივწერე; წერილში დაწვრილებით მქონდა ნაანბობი, თუ როგორ ანუ როდის უნდა დაეთესათ, მაგრამ ის-კი დამავიწყდა, რომ თოხნაც უნდა. როდესაც სიმინდი ამოვიდა არ დათოხნეს თურმე და ვერც სიმინდმა იხეირა. მომწერეს, რომ სიმინდმა ჩვენს ქვეყანაში არ ივარგაო.რა-კი გავიგე, არ დაუთოხნიათ მეთქი, მაშინვე მივხვდი რაც ყოფილიყო მიზეზი სიმინდის მოუსავლობისა. მეორე წლისათვის ისევ გავგზავნე სიმინდი და გათოხნაც დავავალე, სიმინდმა ძალიან კარგად იხეირა და დიდრონი ტაროებიც გაიკეთა.

აბრეშუმის ქიას უნდა ჰქონდეს საკუთარი ბჟოლის ბაღი და საკუთარივე სადგომი, სადგომი უნდა გაკეთდეს შიგ შუაგულ ბაღში სიგრძით 10—15 საჟენი, სიგანით 6 არშინი, სიმაღლით 5—6 არშინი. შიგ უნდა იყოს გამართული რამდენსამე სართულად ტახტები ქიისათვის. თითონ სადგომი უნდა იყოს აშენებული უბრალო ფიცრისა, ანუ ფაცხასავით წნელით იყოს მოწნული.

საჭიროა მხოლოდ რომ ფაცხას, ანუ წნულს ოთახს, საცა მიჯრიტანები, აქვს გამოტენილ იქმნას ღომის ჩალით, ანუ სხვა უსუნო ბალახით რათა ქარი არ შედიოდეს შიგ.

ბაღი ბჟოლისა უნდა გაკეთდეს და გაშენდეს ამნაირად: ამოარჩიეთ კარგი ნოყიერი 1 და ანუ $^{1}/_{2}$ ქცევა მიწა ტრიალ მინდორზედ. რაც უფრო მოშორებული იქმნება ეს ადგილი სოფლისადმი, ისა სჯობია. ეს ადგილი კარგად შეღობეთ, რომ შინაური საქონელი ანუ ფრინველი არ შევიდეს, არამც თუ ზაფხულობით, არამედ ზამთარშიაც. საქონელი და ფრინველი არც ხის ძირს და არც კანს არ უნდა შეეხოს, იმიტომ რომ ბჟოლის ხე ცუდს თვისებას მიიღებს და მერე ქიას აწყენს, თითონ ბჟოლის ხეები უნდა იყოს ერთის გემოსი, ერთი ჯიშისა და ერთის ხის თესლისაგან, რათა ერთნაირი თვისება ჰქონდეს. ყველა ამისათვის ამოარჩიეთ დიდრონი და ტკბილი ბჟოლა ერთის ხისა და როდესაც კარგად დამწიფდება, მაისში ანუ ივანობისთვის დამდეგს რამდენიმე გირვანქა აიღეთ, ჩაჰყარეთ გობში და მეორე ხელით დაჭყლიტეთ, წყლით გარეცხეთ, ბჟოლის კაკალი (თესლი) ღომის კაკალივით დარჩება. ეს კაკალი გააშრეთ და შეინახეთ სეკტემბრის თვის დამლევამდე. სეკტემბერში დასთესეთ ნოყიერ მიწაში, ისე როგორც სთესვენ სქლად პრასა-ქინძს და სხვ. ეს თესლი მალე ამოვა და უნდა დარჩეს მიწაში მთელი ზამთარი, გაზაფხული და ზაფხული, როდესაც შემოდგომა დადგება ე. ი. ნოემბერში უნდა გადარგოთ მისთვის დანიშნულ ბაღში; უნდა გადარგოთ მწკრივმწკრივად, ერთი მეორეზედ სიშორით 2—3 ვერშოკზედ, ხოლო მწკრივსა და მწკრივს შუა უნდა დარჩეს 1—$1^{1}/_{2}$ არშინი, რომ კაცს ადვილად შეეძლოს მწკრივსა და მწკრივს შუა თავისუფლად სიარული. 1—2 წლის შემდეგ, როდესაც აბრეშუმის ქიის გაჩენას შეუდგებით, ამ ბჟოლის ხეების ტოტები გადასჩეხეთ ერთის კაცის სიმაღლეზედ და აჭამეთ ქიას. ბჟოლის ბაღში და მის ნაპირად ახლო-მახლო სხვა გვარი ხე და ხეხილი არ უნდა იყოს. შიგ ბაღში ბჟოლების ქვეშ მიწა უნდა გასთოხნოთ ხოლმე როგორც სიმინდს სთოხნიან და ბარვენ. აბრეშუმის ქიის თესლი უნდა დაიბაროთ ტფილისის აბრეშუმის თესლის ქარხნიდგან, ანუ სამხღვარ გარეთიდგან, იმიტომ რომ იქა აქვთ იმნაირი მანქანები და მოწყობილობა, რომლების წყალობითაც ძრიელ ადვილად ატყობენ აბრეშუმის თესლის ავკარგიანობას და ღირსებას. იქაური თესლი სულ ჯანმრთელ პეპლებისაგან არის მომზადებული, შინაურ თესლში-კი ურევია ავადმყოფ პეპლების თესლი და ეს მათი ავადმყოფობა ქიაში ადვილად ვრცელდება: ზოგს მთლათ ჰხოცავს და ზოგს ღონეს ისეართმევს, რომ არც ხეირიანად ჭამა შეუძლიან და არც ხეირიანად პარკის გაკეთება უტანადობისა და უღონობის გამო.

მ. ა.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

კენჭის ყრით თავის მოკვლა

ეს ამბავი მომხდარა სამხრეთ კაროლინაში და ამერიკის შტატების გაზეთებშია დაბეჭდილი. ერთს მშვენიერს დღეს, წარსულის თვის დამლევს, პაწია ქალაქ ორანჟბერის სახლების კედლები გაკრული იყო დიდრონის ყვითელისა და ცისფერის განცხადებანით. ზემოდგან უშველებელი ასოებით ეწერა:

დიდად საყურადღებო ამბავი „დოქტორის ტომსონისა“ თავის მოკვლის შესახებ

განცხადებაში განმარტებული იყო, რომ დოქტორი ტომსონი გადუშლის საზოგადოებას თავისს ცხოვრებას, უბედურებითა და ვაი-ვაგლახით სავსეს, შემდეგ განიხილავს თავის მოკვლის საქმეს ფილოსოფიისა და სარწმუნოების მხრივ და უჩვენებს უფრო კარგს საშუალებას, მეცნიერების მიერ ნაღონებს, თავის მოსაკვლელად იმ კაცთათვის, რომელთაც ამ ქვეყნად კეთილი არა უნახავთ-რა; ისეთს საშუალებას, რომლითაც სიცოცხლის მოსპობა უფრო ადვილად შეიძლება და ისე სატანჯველი არ იქნებაო.

შემდეგ დიდრონის ასოებით დაბეჭდილი იყო:

„ამ ლექციის შემდეგ დამსწრე საზოგადოებასა სთხოვს კენჭის ყრით გადასწყვიტონ, აქვს თუ არა ნება დოქტორ ტომსონს, აწინდელ უიმედო მდგომარეობასა და სულის კვეთებაში, თავი მოიკლას?

„თუ ვინიცობაა უმრავლესობა გადასწყვეტს, რომ ტომსონმა უეჭველად უნდა მოიკლას თავიო, ტომსონი ვალდებულია იქავე, საზოგადოების წინაშე, რევოლვერი მიირტყას შუბლში და ტვინი გადმოანთხიოს. საზოგადოებას სრულიად არა დაუშავდება-რა. ეს რევოლვერი, რომლითაც იგი მოიკლავს თავს, საჩუქრად აქვს მიღებული სან-ფრანცისკოს რევოლვერების მკეთებელ ამხანაგობის „Boadburry and sons“-ისაგან, რომელიც მართლაც რომ ღირსებით დიაღ ჩინებულს და ფასით დიდად იაფს იარაღსა ჰყიდის.

„სხოლიო. რაც ფული შემოვა ამ წარმოდგენიდგან, მიეცემა ხუთს გასათხოვარს ობოლს ქალს, ამ ქალაქის ღირსეულ ოჯახთაგან ამორჩეულსაო“.

დანიშნულს დღეს ნაშუადღევის პირველ საათიდგანვე დიდ-ძალი ხალხი იდგა თეატრის დახლთან და ბილეთები ტაციობით ისყიდებოდა. ერთი ბოსტონელი ვაჭარი ერთს ადგილში ხუთს თუმანსაც-კი იძლეოდა...

---

სძვრებოდეთ! ძალიან მჭრელი კალამი გაქვთ!... რედაქცია არაფერში არ დაგაბრკოლებთ!...

—

და აი განვლო ათმა წელიწადმა. ჟოზეფი, როცა მარტო დარჩებოდა და გულის-ხმა'ში ჩავარდებოდა ხოლმე, სულ ტიროდა სიბრაზით, ამას რასა ვკადრულობო, მაგრამ მაინც ებრძოდა თავის ძმებსა და ამხანაგებს, ეწინააღმდეგებოდა თავის საკუთარს აზრს, დასცინოდა და მასხარად იგდებდა, რაც თვითონა სწამდა, შეურაცხყოფდა, რასაც ეთაყვანებოდა, რასაც აღმერთებდა და... იძენდა შეძლებას, მდიდრდებოდა.

ჟოზეფი გამდიდრდა, სახელი მოიხვეჭა; შურით თვალები სცვიოდათ, რომ უცქეროდნენ; პატივსა სცემდნენ, აქებდნენ, ადიდებდნენ. მრავალი წერილები მოსდიოდა ქებისა და დიდებისა პრინცებისაგან; მრავალს ლოცვა-კურთხევას უგზავნიდნენ თავიანთ ეპისტოლეებით ეპისკოპოზნი. პაპს დიდად შეუყვარდა ჟოზეფი. მაგრამ მაინც არა გვგონია, რომ იმაზედ ღირსი შებრალებისა კიდევ სხვა ყოფილიყოს ვინმე. რამდენსაც უფრო მეტსა სწერდა თავის აზრისა და რწმენის წინააღმდეგს, იმდენად უფრო იზრდებოდა და მატულობდა მის გულში სიყვარული დამცირებულთა, ტვირთ-მძიმეთა, მაშვრალთა და უბედურთა მიმართ. ეს ვითომ და რეაქციის მომხრე მწერალი მუდამ ალტაცებაში მოჰყავდა ახალ აზრებს. მუდამ იმ ფიქრში იყო, რომ თავი გამოედო ბედისაგან დაჩაგრულთა და გაქელილთათვის. სწორედ რომ წამებული იყო ამის გამო ჟოზეფი! მაგრამ რას იზამდა, როდესაც ის, ვინც სიყვარულით შეირთო და მისი შვილები ბედნიერებაში იყვნენ, მხიარულად სცხოვრობდნენ და არ აკლდათ სიამენი ამა სოფლისანი...

ერთს საღამოზედ ცოლმა უთხრა ქმარს:

— ჟოზეფ, ეხლა ხომ ცხოვრება გვაქვს, მაშ, რაღად უნდა მუშაობდე? ჯანი გაგიტყდა და ავადმყოფობა ხშირად გეწვევა ხოლმე. რაც ხანი გადის, უფრო სუსტდები. ყოველი ახალი პოლემიკა ფერს გიკარგავს და გაყვითლებს. წავიდეთ სადმე ჩვენის შვილებით, მოვძებნოთ ერთი მიყრუებული სოფელი და ვიცხოვროთ იქ დამშვიდებით. დაივიწყე სხვა ყოველივე, დაივიწყე... ისინიც...

ჟოზეფი გააჟრჟოლა და სულ კანკალმა აიტანა. ისე უზომოდ გაეხარდა ეს ამბავი, გეგონებოდათ სასიკვდილოდ მსჯავრ-დადებული იყო და ეს-ეს არის ეხლა გამოუცხადეს, შეწყალებული ხარო.

— მართალი ხარ, მართალი, მართალი, ათასჯერ მართალი ხარ! დიაღ, დიაღ, სწორედ ამბობ! ლუღლუღებდა ჟოზეფი.

იმ საღამოსვე ჟოზეფმა წაუღო თავის გაზეთს,—ამ ბურჯსა და ძლიერს მომხრეს ძველებურ შემცდარ აზრებისას—თავისი უკანასკნელი წერილი.

ვიანდასი ტალანში შეხვდა თავის თანამშრომელს.

— აბა, ჩემო კარგო, ეხლა ძალიან გაცხარებული დროა. მოვიდა ჟამი შეუპოვარის ბრძოლისა!.. ვგონებ, სულ ბოლი აადინეთ ზურგზედ იმ საზიზღარ ტაბარუკებსა და ბოგანოებს, არა? მე, ხომ იცით, არა ვკითხულობ თქვენს წერილებს; ან-კი რა საჭიროა, თქვენ აქ სრული ბატონი ხართ!.. მაგრამ, რაიცა შეეხება ხვალინდელს დილას, უთუოდ მინდა დავტკბე თქვენის პროზის წაკითხვით და შოკოლადთან ერთად თქვენის ნაწერებით ჩავიკოკლოზინავო ყელი... მართლა, დღეს ხომ ერთადა ვსადილობთ?..

—

მეორე დღეს, როცა ლეკლერის წერილი დაიბეჭდა როიალისტების ღვთის-მოსავს გაზეთში, მთელი პარიზი შეირყა.

ჟოზეფ ლეკლერმა ასწერა ყოველივე: წარსული სიღარიბე და გაჭირვებაცა, ის ყოველ გვარი ცდაცა, რომ პატიოსანის გზით მოეპოვებინა ლუკმა-პური; ასწერა შიმშილწყურვილი, სიშიშვლე და სიტიტვლე, ცოლშვილის ვაება და გამწარება და ისიცა, თუ როგორ უღალატა თავის თავს, თავის რწმენასა და იდეალს. ავტორი ჯერ გაუბედავის კილოთი იწყებდა და მკრთალად ასურათებდა თავის სულისა და გულის ვითარებას; მერე-კი დიდის გაბედვითა, დიდის რიხითა და ქექა-ქუხილით ამხილებდა თავის წინანდელ თავზარდაცემულ მომხრეებს, უწოდებდა ყველას, ვიბრძოლოთ ცხოვრების უსწორ-მასწორობის დასათრგუნად, ჩასუქებულ, ღიპიან მდიდართა მოსაჰკვიანებლად, წამებულ მუშათა და გლეხ-კაცთა გასაადამიანებლადაო. და აი ყველა მისი ძველებური სარწმენი, ხელ-ახლად გაღვიძებული, გათავისუფლებული, სჩქეფდა წყაროსავით ამ უკანასკნელს წერილში. ეს წერილი იყო დასასრული ადამიანის მთელის სიცოცხლისა, განხორციელება სვინიდისისა, გამოსალმება ძალუმის კაცისა სახტად დარჩენილ ბრბოს წინაშე.

ვიანდასი-კი კინაღამ სიცილით არ მოკვდა... იმ დღეს ისე გაიყიდა გაზეთი, რომ სულ ტაციობა იყო...

გრ. ყ—ძე

და, მაგრამ არავინ დაუთმო.

სამჯერ გაისმა რაკუნი და სცენაზედ გამოვიდა დოქტორი ტომსონი ფრაკით და თეთრის ყელ-სახვევით. მან გამოაცხადა, რომ ვიდრე ვიტყოდე რასმეს, ჩემი სურვილი ის არის, რომ აქ თავ-მოყრილმა პატივცემულმა საზოგადოებამ ჯერ მუსიკა მოისმინოს, ვინაიდგან კარგს გუნებაზედ დადგებაო. როიალზედ დაუკრა ვიღაცამ ერთი ადგილი „ვილჰელმ ტელიდგან". შემდეგ ერთმა გერმანელმა მომღერალმა ქალმა ფრანგულს ენაზედ დუეტი იგალობა იტალიელ ტენორთან ერთად. ტომსონი, როგორც ეტყობოდა, ძალიან კმაყოფილი იყო კონცერტისა, წვერზედ ისვამდა ხელს და თავისსავე განცხადებას მარაოდ ჰხმარობდა, სახეს იგრილებდა. რასა თქმა უნდა, რომ ყველას იმისაკენა ჰქონდა თვალები მიქცეული. ქალები ამბობდნენ, რომ კარგის შეხედულობის კაცია, საუცხოო ფერ-მკრთალი სახე აქვს და მშვენიერი ჩაკუპრული თვალებიო. საზოგადოებაში მყოფს ერთს ინგლისელს ქალს გული აუჩვილდა, სიბრალული აღეძრა უბედურ ყმაწვილის კაცის მიმართ, იქვე დასწერა და გაუგზავნა ბარათი, რომელშიაცა სწერდა, მე გამოგყვები ცოლად, დიდი შეძლება მაქვს, თუ ცოლის შერთვა მაინც არის განუგეშებს და მოგარიგებს ცხოვრებასთანაო. მაგრამ ტომსონმა მოკლედ, ცივად და ნაღვლიანის ღიმილით უპასუხა: „გვიანდა არისო!".

დასასრულ, კონცერტი გათავდა. მოხდენილად თავი დაუკრა საზოგადოებას და ტომსონი ჩამოჯდა სტოლთან. შემდეგ პირი შეისველა შაქარწყლით და დაიწყო ჩვეულებრივის სიტყვებით: „ბატონებო და ქალბატონებო..." დაიწყო თავისის ცხოვრების მოთხრობა, თითქმის არავითარი წვრილმანი ამბავიც-კი არ გამოუტოვებია ყმაწვილობის დროისა. შემდეგ ვრცლად უამბო საზოგადოებას იმ უბედურებათა ამბავი, რომელიც ამ უკანასკნელს ხანს თანა მდევს და ფეხზედ ველარ წამოვდექიო. უშველებელი ქონება ზოგი ბანქოში წავაგე და ზოგიც ზღვაში ჩამეღუპა ერთის გემის დანთქმის დროს. სამჯერ ვიყავ ჯვარ-დაწერილი. პირველი ცოლი ლოთი გამომადგა, მეორეს ცეცხლი წაეკიდა და დაიწვა, მესამემ—საბუთის ქაღალდები და ტანისამოსი მომპარა და ვიღაც ზანგს გაჰყვა საყვარლად. ამას გარდა სტომაქის სატკივარი მაქვს, რომლის გამოც არც სმა შემიძლიან რისამე, არც ჭამაო.

— ხომ ჰხედავთ, ბატონებო, როგორია ჩემი სიცოცხლე. ეხლა ვიკითხოთ: შეენდობა და შეეწყნარება განათლებულს ყმაწვილს კაცს, რომელიც ასეთს მდგომარეობაში იმყოფება, როგორშიაც მე ვარ, შეიძულოს და შეიძაგოს ცხოვრება და თავის მოკვლა ამჯობინოს ქვეყნად ბოგინებას? მე იმ აზრისა ვიყავ, რომ მევე ვერ გადავწყვეტ ამ საკითხს, ჩემსავე თავს მსაჯულად ვერ დავუდგები, რადგან, ვინ იცის, იქნება ვაზვიადებ ჩემს უბედურებასა-მეთქი. და აი, კიდეც ამიტომ მოგიწოდეთ თქვენ, სამართლიანობით აღსავსენო მოქალაქენო, და თქვენცა, ძვირფასნო და ფრიად სასიამოვნო დედანო, და გთხოვთ თქვენ გადასწყვიტოთ ჩემი ბედ-იღბალი. კენჭით გამოსთქვით თქვენი აზრი, თავი უნდა მოვიკლა, თუ ისევე შემიძლიან ცოცხლად დარჩენა. თუ ვინიცობაა გადასწყვეტთ, რომ სიცოცხლეს უნდა გამოვეთხოვო, ამ უბრალო საქმეს აქავე, თქვენთა თვალთა წინაშე, გავათავებ.

სამ გზის გაისმა ტაშის ცემა. ტომსონმა თავი დაუკრა, თითქოს არტისტი იყოს და მადლობას უხდიდეს საზოგადოებასაო. შემდეგ ისევე დაჯდა, გვერდით დაიდო დიდის ყაიდის რევოლვერი, რომელსაც საზოგადოება დიდის გულ-დადებით ჰსინჯავდა და ათვალიერებდა.

ყველას დაურიგეს პაწია თეთრი და ლურჯი ქაღალდები. ეს ქაღალდის ნაჭრები კენჭის მაგიერობასა ჰნიშნავდა. თითოს ორ-ორი კენჭი მიეცა, ერთი თეთრი—სიცოცხლე, ერთი ლურჯი—სიკვდილი და დაიწყო კენჭის ყრა.

კენჭის ყრამ სრულიად მშვიდობიანად ჩაიარა. აგერ შეუდგნენ კიდეც კენჭის თვლას. პირველში თეთრი კენჭი უფრო მეტი ამოვიდა და დარბაზის ერთს მხარეს რამდენმამე ერთად და ერთს დროს თავისუფლად ამოისუნთქა: „ახ!", შემდეგ ლურჯის კენჭის თვლა დაიწყეს და იმდენი გამოვიდა, რომ თითქმის თეთრის რიცხვს შეუთანაბრდა. საზოგადოება აღელვდა, შეჩოჩქოლდა, რადგან ლურჯი კენჭი აგერ წამოეწეოდა თეთრს. აგერ სთვლიან. 324 კენჭი ლურჯია, 324 შავი. ერთი კენჭიც უნდა ამოიღონ და ამ ერთის კენჭისაგან არის დამოკიდებული სიკვდილ-სიცოცხლე ტომსონისა. საზოგადოებას აღელვებისაგან სულთქმა შეეკრა. ლურჯი კენჭი ამოვიდა.

მაშინ დოქტორი ტომსონი წამოდგა და გასტენა რევოლვერი. ლულა მარჯვენა საფეთქელზედ მიიბჯინა და მტკიცედ და გარკვევით დაიწყო თვლა: „ერთი... ორი..." ის იყო უნდოდა ეთქვა „სამიო!", ქალებმა ყურებში თითი დაიცვეს კიდეც, ამ დრომდე ხუთსა თუ ექვს გულიც შემოეყარა, როგორც უცბად ერთმა კენჭის დამთვლელთაგანმა ჩაიხედა ყუთში და დაიძახა;

— შესდეგით! . ორი კენჭიც ჩაგვრჩენია...

მართლაც ამოიღეს ეს ორი კენჭიც, ორივე თეთრი იყო და ამ გვარად საქმე სულ სხვა გვარად შეიცვალა, რადგან უმრავლესობა ამ ყმაწვილის კაცის სიცოცხლის მომხრე იყო.

უცბად ვიღაც გაცოფებული მაყურებელთაგანი ეძგერა ამ კენჭის დამთვლელს და შესძახა: „სტყუით! ეგ ქაღალდები თქვენ თითონ ჩაჰყარეთ ყუთში. ჩემის თვალითა ვნახე." ხელი წაავლო მკლავში, დაანჯღრია ბ კენჭის დამთვლელს ტანისამოსის სახელოდგან ორმოც-და-ათამდე თეთრი ქაღალდი გამოსცვივდა. ეტყობა, ადრევე ჰქონიდათ დამზადებული.

მონასტერი აირია. ისეთი ორონტრიალი დადგა, რომ ყურთა სმენა აღარ იყო. „გაგვქურდესო!" ჰყვიროდნენ ზოგნი. „პლუტები ყოფილან! მაგათ ჩვენებურად უნდა გაუსწოროთ ანგარიშიო!" დასძენდნენ მეორენი. სკამების სროლა დაიწყეს სცენისკენ.

მაგრამ დოქტორ ტომსონს წარბიც არ შეუხრია. დაიწყო რევოლვერიდგან ტყვიების გამოღება და ლულა იმათკენ ექირა, რომელნიც ქვემოდგან უახლოვდებოდნენ და მუქარით ჯოხებს უქნევდნენ. შემდეგ ეძგერა გაზის ონკანს, გადააბრუნა და სინათლე ჩააქრო. ეხლა-კი ადვილად შეეძლო გაპარვა სცენის უკანა კარებიდგან, რომელიც ვიწრო ქუჩაზედ გადიოდა. გაპარვამდე-კი, რასკვირველია, კასირთან შევიდა და ფულებიც თან წაიღო. მას შემდეგ აღარ უნახავთ და ვინ იცის იქნება ეხლაც გარბის სადმე.

სამაგიეროდ უბედურს კენჭის მთვლელს იმდენი სცემეს, რომ სიკვდილის პირად მიაგდეს. ბოლოს სასამართლოში წაათრიეს და საპატიმროში ჩაამწყვდევინეს.

## წერილები რედაქციის მიმართ

გთხოვთ ნება გვიბოძოთ, თქვენის გაზეთის შემწეობით უგულითადესი მადლობა გამოვუცხადოთ ქ-ბ-ნ ესმა ჩხეიძისას, რომელმაც ნატანების სადგურზედ ასკანის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ შეკრიბა სხვა-და-სხვათაგან ჩვიდმეტი მანეთი და ცამეტი შაური და აზ. ნესტორ ჯაშს ათი მანეთის შემოწირვისათვის.

წიგნთ-საცავის დამაარსებელი
სოლომონ მჭიშვილი

13 ივნისი.

## შემოწირულებანი

ხონის საქალებო სკოლის შენობისათვის

უგ. თ. მეგრელიისამ ნიკოლოზმა 100 მ., ივანე დავითის ძე კაკაბაძემ 10000 აგური ღირებული 40 მ., მარიამ ივანეს ასულმა კაკაბაძისამ 10000 აგური ღირებული 40 მ., მიხაილ როსტომის ძე წიწვიძემ 25 მ., სიმონ სტეფანეს ძე წიწვიძემ 10 მ., ლუკა სტეფანეს ძე წიწვიძემ 10 მ., ბესარიონ კონსტანტინეს ძე ნადარეიშვილმა 15 მ., რემონზ ლუხუმის ძე ბახტაძემ 30 მ., ცირკის წარმომადგენელმა გოდფრუამ 40 მ., ქუთაისის მაზრის სასამართლომ 166 მ. 28 კ., ივანე დავითის ძე ჭავჭანიძემ 10 მ., თომა გრიგოლის ძე ბახტაძემ 10 მ., იოსებ მიხაილის ძე გოროზიამ 10 მ., მიხაილ გ. მაჭარაძემ 10 მ., გიორგი ბუჭუას ძე ფიცხელაურმა 10 მ., ილიკო პავლეს ძე კაკაბაძემ 10 მ., ლუკა დავითის ძე სანაძემ 8 მ., ისლამ ოტიას ძე კარტოზიამ 8 მ., დიმიტრი იორდანის ძე ჯაღაღანიამ 8 მ., გერასიმე პავლეს ძე ჩხინკელმ 8 მ., გიგო ივანეს ძე ჭავჭანიძემ 7 მ., დავით ეგნატეს ძე რუხაძემ 6 მ., ქუთაისის მაზრის სასამართლომ 110 მ., ტარიელ პეტრეს ძე ხაჭაპურიძემ 6 მ., ოქროპირ მამულაიამ 5 მ., მიხაილ დ. ჭავჭავანიძემ 5 მ., გიორგი ნიკ. ქუთათელაძემ 5 მ., ანტონ გლახუას ძე სანაძემ 5 მ., სოლომონ ლუკ. ჯიქიძემ 5 მ., ანდრო წოწონავამ 5 მ., ივანე დავითის ძე ბახტაძემ 5 მ., მიხაილ კოსტას ძე ხარებავამ 5 მ., მიხაილ ქავზინაძემ 5 მ., დიმიტრი მაქსიმეს ძე კაკაბაძემ 5 მ., გიორგი მაქსიმეს ძე კაკაბაძემ 5 მ., ვასილ მაქსიმეს ძე კაკაბაძემ 5 მ., პავლე ივანეს ძე ჩხენკელმა 5 მ., კოსტა ბეჟანის ძე ქუთათელაძემ 5 მ., ილარიონ პეტრეს ძე მელაძემ 5 მ., დავით ღოღობერიძემ 5 მ., მზესათუნა ხარაზოვისამ 5 მ., გაჩეჩილან ანდრიას ძე ჭავჭანიძემ 5 მ., პოლიევქტო ანტ. ქუთათელაძემ 5 მ., ზოსიმე ბუჭუას ძე რუხაძემ 5 მ., ლუკა ნიკოლოზის ძე რუხაძემ 5 მ., კოსტა ნიკოლოზის ძე რუხაძემ 5 მ., ქრისტო და სანდრო სანოძეებმა 5 მ., იოსებ გრიგოლის ძე ბალანჩივაძემ 5 მ., გიგო, პავლე, ილარიონ და ვიქტორ დიმ. ბახტაძეებმა 5 მ., ალექსანდრე გიორგის ძე ქუთათელაძემ 5 მ., ალექსი ივანეს ძე ჭავჭანიძემ 5 მ., ექვთიმე წერეთელმ 5 მ., დიმიტრი ზურაგიამ 5 მ., სტეფანე მაჭარაძემ 5 მ., ანდრო მენაბდემ მ., ბესარიონ ავაზაძემ 3 მ., ივანე მიქაძემ 3 მ., ნიკიფორე ვასილის ძე ჩხინკელმა 3 მ., სილიბისტრო კაკაურიძემ 3 მ., გერასიმე პეტრეს ძე მელაძემ 3 მ., მიხაილ დავითის ძე ჯიშკარიანმა 3 მ., ნესტორ ანდრიას ძე ქუთათელაძემ 3 მ., სესია გრიგოლის ძე ტაბიძემ 3 მ., სამსონ ივანეს ძე ჭავჭანიძემ 3 მ., ივანე გლახუას ძე სანოძემ 3 მ., იოსებ როსტომის ძე ჩომახიძემ 3 მ., სპირიდონ როსტომის ძე ჩომახიძემ 3 მ., დიაკონმა ანტონმა 3 მ., ლუკა ვასილის ძე მაჭარაძემ და სოლომონ სიმონის ძე ჩხენკელმა 3 მ., ივანე იოსების ძე თავართქილაძემ 3 მ., პავლე ბეკოს ძე ბახტაძემ 3 მ., ლაზარე წერეთელმ 3., პეტრე დავითის ძე სანოძემ 3 მ., ტარასი ივანეს ძე ჩხინკელმა 3 მ., ილარიონ ღოღობერიძემ 2 მ., როსაფა კაკაბაძემ 2 მან., დათა ნიკიფორეს ძე ჭავჭანიძემ 2 მ., იაკობ ნიკ. ბახტაძემ 2 მ., პეტრე ოსიას ძე ბახტაძემ 2 მ., ანტონ და იოსებ გიორ. ბახტაძეებმა 2 მ., ბიჭია მელქაძემ 2 მ., ქრისტო ივანეს ძე ფარცხალაძემ 2 მ., გიორგი სისონას ძე ჭავჭანიძემ 2 მ., ივანე მახარობლიძე გენჯერაძემ 2 მ., სამსონ ნიკ. კუტივაძემ 2 მ., მელიტონ დიმიტრის ძე რუხაძემ 2 მ., გერასიმე და სამსონ ივ. ბახტაძეებმა 2 მ., ილაკრი ექვთიმეს ძე წიწვიძემ 2 მ., ნესტორ ეგნატეს ძე ბახტაძემ და ნესტორ გრიგოლის ძე კარტოზიამ 2 მ., პართენ ალმასხანის ძე ჭავჭანიძემ 2 მ., ოქროპირ ბეჟანის ძე ბახტაძემ 2 მ, ნიკოლოზ დავითის ძე ბახტაძემ 1 მ., დიმიტრი ზურაბის ძე დიდიძემ 1 მ., მელიტონ დიმიტ. ქუთათელაძემ 1 მ., გრიგოლ ივანეს ძე ქიქოძემ 1 მ., მათე პეტრეს ძე კაკაბაძემ 1 მ., არ. წულუკიძემ 1 მ., ილარიონ ბალანჩივაძემ 2 მ., ფარნაოზ გლახუას ძე სანაძემ 5 მ., პავლე იოსების ძე ბახტაძემ 2 მ., ბეჟან ხახუტას ძე სანაძემ 3 მ., ფილიპე ვასილის ძე სანაძემ 5 მ., 9 მაისს ამა წელსა იყო სეირნობა ხონში ბულვარში დანიშნული, რომლისაგანაც ხარჯის გამორიცხვით დარჩა წმინდა შემოსავალი ამ საჭიროებისათვის 39 მ. 76 კ. ივანე პეტრეს ძე ჭავჭანიძემ 10 მ., ივანე ჩხიკვიშვილმა 10 მ. სულ=1011 მ. 4 კ.

პეტერბურგის ბირჟა, 14 ივნისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო. | 7,49 | 7,51 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები. | 149¼ | 150 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 249¼ |
| —მეორისა . . . . | 225½ | — , | — ,, |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 190 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | 101½ | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | — ,, | 101 | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | 101½ | — ,, |
| 5%. . . . . . | 100½ | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 100 | — ,, | — ,, |


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი, —11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ქ. ი. ფრანცუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

## მიგიღებ ყოველგვარ საფოტოგრაფიო სამუშაოს:

ვხატავ ფაიფურზე და ატლასზე. პორტრეტი პორტფელზე—10 შაური.

აგრეთვე მაქვს თამარ მეფის სურათი ატლასზედ დახატული ბალიშისთვის—3 მ., ლამპარის აბაჟური ექვსის ცნობილ ქართველ მწერალის სურათით 3 მ., აბრეშუმის ხელსახოცები მწერალთა სურათებით: 3 აბაზი 1 მ., ვისაც სურს თავისი სურათი დაგვახატვინოს ამგვარს საგნებზედ, შეუძლია მობრძანდეს სურათის გადასაღებად ან სურათი გამოგვიგზავნონ.

ვისაც ფოტოგრაფიის შესწავლა სურს, ქალსაც და კაცსაც, შეუძლია მომმართონ ამ ადრესით: ტფილისი, ორბელიანის ქუჩა, № 36, ქ-ნს ა. პ. როდიონოვს.

# ცხოვრება

შვიდთა ყრმათა ეფესელთა
გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბისა
ფასი ერთი შაური
ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.




სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.